

მათემატიკა

1) მგზავრობის ღირებულება 40 თეთრიდან 50 თეთრამდე გაიზარდა. რამდენი პროცენტით გაიზარდა მგზავრობის ღირებულება?

- ა) 10% ბ) 20% გ) 25% დ) 40%

2) გიამ და ნინომ 55 ჩურჩხელა გაინაწილეს პროპორციით 2:3. რამდენი ჩურჩხელა შეხვდა ნინოს?

- ა) 11 ბ) 28 გ) 30 დ) 33


3) წრეწირის სიგრძეა 100. იპოვეთ მისი რადიუსი.

- ა) $\frac{50}{\pi}$ ბ) $\frac{100}{\pi}$ გ) 50π დ) $\frac{\pi}{10}$

4) ცილინდრის ფუძის რადიუსია 3, ხოლო სიმაღლე 6. რას უდრის ამ ცილინდრის მოცულობა?

- ა) 9π ბ) 18π გ) 36π დ) 54π

5) ნახაზზე მოცემულია ტურისტის მიერ გავლილი მანძილის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი. გრაფიკის მიხედვით განსაზღვრეთ დროის რომელ ინტერვალში იყო ტურისტის სიჩქარე 2 კმ/სთ.



ა) 0–0,5 სთ

ბ) 0,5–1,5 სთ

გ) 1,5–2 სთ

დ) 2–3 სთ

6) კლასში 12 ბიჭი და 8 გოგოა. რა არის ალბათობა იმისა, რომ შემთხვევით გამოძახებული მოსწავლე ბიჭი იქნება?

ა) $\frac{4}{6}$

ბ) 0,6

გ) 0,4

დ) 0,12

7) $ABCD$ ოთხკუთხედის B და D კუთხეები მართია. რისი ტოლია ამ ოთხკუთხედის A კუთხის სიდიდე, თუ $\angle C = 70^\circ$?

ა) 90°

ბ) 100°

გ) 110°

დ) 120°

№	სწორი პასუხები
1	ბ
2	დ
3	ა
4	დ
5	ბ
6	ბ
7	ბ